საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2866-02
17/11/2016

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მათემატიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2016 წლის 5 სექტემბრის N2183-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 31-ე , 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 1 სექტემბრის N22 სხდომის ოქმის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2016 წლის 5 სექტემბრის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მათემატიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" N2183-02 ბრძანების მე-7 პუნქტში და კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2016 წლის 1 დეკემბერსს, ნაცვლად 2016 წლის 28 ნოემბრისა.

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი